AR 1160712

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 180

„22" იანვარი 2010 წ.

ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2010 წლის 12 იანვრის №1 სხდომის ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსიობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,9.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდეინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.16.01.008.005), მშენებარე საოფისე შენობისთვის, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ არსებული კოეფიციენტი კ2=2.2

"ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის 22 იანვრის 2010 წ. განკარგულება №180-ით, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 2.9-ით

ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა შეადგენს: 17358.5 ლარს

ამასთანავე გაცნობებთ, რომ კოეფიციენტი კ2-ის მომატების შემდეგ არ განხორციელებულა არანაირი სამშენებლო მოქმედება ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

გთხოვთ 17358,5 ლარის გადახდის გრაფიკი განგვისაზღვროთ 12 თვის ვადით

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16358.5

დირექტორი: გ. სიჭინავა

ზონალური მოსაკრებლის გადახდის ანგარიში	
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	
(დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი)	
კოდი	206160606
სახელმწიფო ხაზინა	220101222
ა/ა	200122900
სახაზინო კოდი	300773191

LB

ლიბერთი ბანკი — 1

საგადახდო დავალება # 1689231

22.11.2013

გადამხდელის დასახელება:	[illegible]		
		გადამხდელის ანგარიში:	GE10LB0028145010427137
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
დასახელება:	[illegible]		
საიდენტიფიკაციო კოდი:	205045636		
მიმღების დასახელება:	ერთიანი სახაზინო ანგარიში		
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:	300773191		
მიმღების ბანკი:	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	ბანკის კოდი:	TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:			
გადახდის დანიშნულება:	[illegible]		
დამატებითი ინფორმაცია:			
ხელმოწერა:			

LB-10001689231

GEL

1000.00

[illegible]

ბანკის აღნიშვნები

[illegible]

22.11.2013

22.11.2013